<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონში

ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, #20, 04.05.2005, მუხ.143) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 41-ე მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. დირექტორად შეიძლება განწესდეს ამ კანონის შესაბამისად არჩეული საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება, მუშაობის 3 წლის სტაჟი და აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. დირექტორი ირჩევა 6 წლის ვადით. ერთ სკოლაში პირის დირექტორად არჩევა შეიძლება ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.'';

ბ) მე-4^1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,4^1. დირექტორის არჩევა ან დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნა იწვევს დირექტორის მოადგილის/მოადგილეების უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას.''

2. 42-ე მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,6. სამეურვეო საბჭოს მიერ საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის წესის შესაბამისად დირექტორის არარჩევის/ვერარჩევის შემთხვევაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უფლებამოსილია დანიშნოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილება დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის თაობაზე საჩივრდება სასამართლოში და მისი გასაჩივრება არ იწვევს სადავო აქტის მოქმედების შეჩერებას''.

3. 44 -ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. საჯარო სკოლის დირექტორს უფლებამოსილება უწყდება უფლებამოსილი ორგანოს მიერ საქართველოს კანონმდებლობით ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში და

დადგენილი წესით. საჯარო სკოლის დირექტორს უფლებამოსილება აგრეთვე შეიძლება შეუწყდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საპენსიო ასაკის მიღწევისას.

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3. ახალი დირექტორის არჩევამდე დირექტორის უფლებამოსილებებს ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დანიშნული მოვალეობის შემსრულებელი.''

მუხლი 2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უზრუნველყოს სათანადო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობა.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**